

საქართველოს დრიფტისა და დრაგის ფედერაციის თასი დრაგში (ტექნიკური მოთხოვნები)



დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2017 წელი

1. დასაშვები ავტომობილები

- 1.1. საქართველოს დრიფტისა და დრაგის ფედერაციის თასი 2017 ტარდება სამოყვარულო და PRO კლასებში.
- 1.2. სამოყვარულო კატეგორიაში მონაწილე ავტომობილი უნდა წარმოადგენდეს მწარმოებლის მიერ სერიულად წარმოებულ მოდელს და აღჭურვილი უნდა იყოს ქარხნული, ან ისეთი ძრავით, რომელიც სერიულად იწარმოებოდა კონკრეტული მოდელის ავტომობილისთვის;
- 1.3. სამოყვარულო კატეგორიაში ავტომობილები იყოფიან შემდეგ კლასებად:
 - A კლასი (0-4400 cc) უკანა და წინა ამძრავიანი
 - B კლასი (4401-5500cc) უკანა და წინა ამძრავიანი
 - C კლასი (5501-7700 cc) უკანა და წინა ამძრავიანი
 - Absolute კლასი (7701cc+) უკანა და წინა ამძრავიანი
 - კვადრო კლასი 4X4 AWD
- 1.3.1. ტურბირებული ძრავებით აღჭურვილი სამოყვარულო A კლასის ავტომობილები ავტომატურად იასპარეზებენ B კლასში.
- 1.4. PRO კატეგორიაში ავტომობილები იყოფიან შემდეგ კლასებად:
 - A PRO კლასი (0-4400cc) RWD & FWD
 - მონსტერ PRO კლასი (4401cc+) RWD & FWD
 - PRO კვადრო კლასი
- 1.5. ძრავის კონფიგურაციისა და დაბერვის სისტემების გათვალისწინებით, ავტომობილებს ენიჭებათ კოეფიციენტები. კოეფიციენტთან ძრავის შესაბამისობის შემთხვევაში, მისი კუბატურა მრავლდება კოეფიციენტზე, რის შედეგადაც ავტომობილი მონაწილეობას იღებს შესაბამის სარბოლო კლასში. ორი, ან მეტი კოეფიციენტის შესაბამისობის შემთხვევაში ძრავის კუბატურის გამრავლება კოეფიციენტებზე ხდება თანმიმდევრობით.
- 1.6. ძრავებს კოეფიციენტები ენიჭებათ შემდეგნაირად:
 - ქარხნული აღჭურვილობის კომპრესორიანი ავტომობილები - 1.4;
 - როტორული ძრავით აღჭურვილი ავტომობილები - 1.9;

- გაზრდილი წარმადობის კომპრესორებით, ან ტურბოდაბერვით აღჭურვილი ავტომობილები - 1.9;
- BMW M სერიის ინდივიდუალური დროსელებით აღჭურვილი ძრავები - 1.4;
- ცენტრალუარდ, ან ძარის უკანა ნაწილში განთავსებული ძრავები - 1.5;

1.7. ყოველი სარბოლო ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტექნიკურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებს;

1.8. ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციასაც საფრთხის შემცველად ჩათვლიან ტექნიკური კომისრები.

1.9. ყველა კლასში დასაშვებია ოქტან ბუსტერი და მეთანოლის შეფრქვევის სისტემა;

1.7. ჩემპიონატის მსვლელობის დროს ფედერაციის უფლებამოსილ პირს, ტექნიკურ კომისარს, სპორტულ კომისარს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს ნებისმიერი მონაწილის ავტომობილი. შემოწმების დროს მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს მოთხოვნას. ამ მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება წლის განმავლობაში მიღწეული შედეგი და ჩამოერთმევა მრბოლელის ლიცენზია (დისკვალიფიკაცია).

2. უსაფრთხოების აღჭურვილობა

2.1. ეკიპაჟის აღჭურვილობა

2.1.1. მრბოლელს და შტურმანს (ამ უკანასკნელის ავტომობილში ყოფნის შემთხვევაში) რბოლის პროცესში სავალდებულოდ უნდა ეკეთათ საავტომობილო ან მოტო რბოლებისთვის განკუთვნილი ჩაფხუტი და შეკრული ჰქონდეთ უსაფრთხოების ღვედი.

2.2. ცეცხლმაქრი

2.2.1 PRO კლასში მოასპარეზე ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს ცეცხლმაქრით. იმ შემთხვევაში თუ ცეცხლმაქრის შიგთავსი წარმოდგენილია ფხვნილის სახით, მისი წონა უნდა იყოს არანაკლებ 2 (ორი) კილოგრამი. იმ შემთხვევაში თუ ცეცხლმაქრის შიგთავსი წარმოდგენილია ქაფის სახით, მისი მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 3.5 ლიტრი.

2.2.2 ცეცხლმაქრი უნდა იყოს შესაბამის დონემდე დატენილი და მისი ფუნქციონირების ვადა არ უნდა იყოს ამოწურული.

2.2.3 ცეცხლმაქრი დამაგრებული უნდა იყოს ისეთ ადგილას, რომ მრბოლელის ან შტურმანისთვის ადვილი იყოს მისი გამოყენება.

2.2.4 ცეცხლმაქრი განთავსებული უნდა იყოს მანქანის წამყვანი ღერძის(ების) პარალელურად და დამაგრებული უნდა იყოს ისე, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს ყოველგვარი სხვა დამხმარე ინსტრუმენტის გარეშე. (დან. J. 253.7).

2.3. გაყვანილობა

2.3.1 საწვავის, ზეთის და მუხრუჭის ხაზები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის

შესაძლო დაზიანებისაგან.

2.3.2 საწვავის ავზის ან საწვავთან დაკავშირებული დამატებითი კომპონენტების საბარგულში განთავსების შემთხვევაში, საბარგული კოკპიტიდან ჰერმეტიკულად გამოყოფილი უნდა იყოს არა აალებადი მასალით.

2.3.3 ელექტრო გაყვანილობის სადენები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან (მტვერი, წყალი, ქვები, ხანძარი).

2.4 უსაფრთხოების კარკასი

2.4.1 პრო კლასში მოასპარეზე ავტომობილები, რომელთა ძარის და სხვა მზიდ ელემენტებში განხორციელებულია ცვლილება, აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების კარკასით.

2.4.2. კარკასი დამზადებული და დამონტაჟებული უნდა იყოს FIA-ს სტანდარტის შესაბამისად (დან. J. 253.8).¹

2.4.3. ასევე დაიშვება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ეროვნული ომლოგაციის მქონე უსაფრთხოების კარკასი. ავტომობილის სპორტულ პასპორტში დადასტურებული უნდა იყოს სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული მწარმოებლის კარკასის შესაბამისობა.

2.6 უსაფრთხოების ბადეები

2.6.1. უსაფრთხოების ბადეები მძლოლი და შტურმანი მხარეს ნებაყოფლობითია.

2.6.2. უსაფრთხოების ბადე უნდა მაგრდებოდეს უსაფრთხოების კარკასზე და არ უნდა იყოს კავშირში კართან.

2.6.3. ბადის ღვედის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 19 მმ-ისა. ბადის ღვედებს შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 25x25 მმ-ისა და არაუმეტეს 60x60 მმ-ისა.

2.7 მინები²

2.7.1 ავტომობილის წინა საქარე და წინა გვერდითი მინები უნდა იყოს ქარხნული წარმოების.

2.7.2 PRO კატეგორიის ავტომობილის უკანა საქარე და უკანა გვერდითი მინები შესაძლოა შეცვლილი იქნას პოლიკარბონატით რომლის სისქეც იქნება არანაკლებ 4მმ.

2.7.3 დასაშვებია საქარე მინაზე მზისგან დამცავი ფირის გადაკვრა იმ შემთხვევაში თუ შიგნით მყოფ პირს თავისუფლად შეუძლია გარე არეალის (მანიშნებელი დროშების, შუქნიშნების, საგზაო ნიშნების და ა.შ.) დანახვა. ავტომობილის გვერდითი და უკანა მინების შუქის გამტარიანობის დონე არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმუმზე მეტი და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მანქანის სალონის დანახვა არანაკლებ 5 მეტრიდან.

¹ ნორმა ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

² ნორმა ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

2.7.4 ავტომობილის წინა გვერდითი კარის მინები მოძრაობაში უნდა მოდიოდეს ქარხნული წესით დამზადებული ამპრავი მექანიზმით.

2.8 მაჩვენებელთა პანელი³

2.8.1. ავტომობილი, რომელიც მონაწილეობას იღებს შეჯიბრებაში აუცილებლად უნდა გააჩნდეს ქარხნული წარმოების მაჩვენებელთა დაფის ცენტრალური კონსოლი (ე.წ. „ტორპედო“).

2.8.3. ავტომობილის მაჩვენებელთა დაფა შესაძლებელია იყოს შეცვლილი, ასევე შესაძლებელია სხვა მაჩვენებლების დაყენება, იმგვარად, რომ არ უშლიდეს ხელს მრბოლელს ავტომობილის მართვაში და არ უფარავდეს ხედვის არეს.

2.8.4. მაჩვენებელთა დაფის ცენტრალურ კონსოლზე ზედა მხარეს დამატებითი მაჩვენებლების დაყენება შესაძლებელია, თუ ის არ ქმნის დამატებით რისკებს.

2.8.5. ავტომობილის მაჩვენებელთა დაფის შეცვლის დროს არ შეიძლება მისი კონტურის ცვლილება.

2.9 „სალონის მოპირკეთება“

2.9.1 ავტომობილია სამოყვარულო კლასის ავტომობილის სალონის მოპირკეთების ელემენტების მოხსნა.

2.9.2. დაუშვებელია ავტომობილის სალონში დაუმაგრებელი დეტალების, ან ნივთების, ასევე აალებადი და სხვა სახიფათო ნივთიერებების მოთავსება;

2.9.2. PRO კლასის ავტომობილებში აკრძალულია მხოლოდ სალონის წინა პანელის (ე.წ. ტორპედოს) მოხსნა.⁴

2.10 აკუმულატორი⁵

2.10.1 აკუმულატორი მყარად უნდა იყოს დამაგრებული და მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანებისაგან. (დან. J. 255.5.8.)

2.10.2 დასაშვებია აკუმულატორის არაქარხნულ ადგილას (პილოტის და შტურმანის სავარძლების უკან) გადატანა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მყარად იქნება დამაგრებული და დახურული იქნება დამცავი კონსტრუქციით(დან. J.255.5.8) ამ შემთხვევაში აკუმულატორი უნდა იყოს მშრალი ტიპის (არა სითხიანი).


³ ნორმა ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

⁴ რეგულაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

⁵ რეგულაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

2.10.3. არაქარხნულ ადგილას აკუმულატორის გადატანის დროს, თუ აკუმულატორი არის სითხიანი, ის აუცილებლად უნდა იყოს დაფარული სპეციალური ჰერმეტიკული ხუფით. ამავე დროს ამ ხუფს უნდა გააჩნდეს სადრენაჟო და სავენტილაციო მილები.

2.10.4 აკუმულატორის სამაგრი და დამცავი ხუფი დაფარული ან დამზადებული უნდა იყოს არა ელექტრო გამტარი მასალისაგან.



აკუმულატორის მარკა და ტევადობა , თავისუფალია.

ყველა აკუმულატორი უნდა იყოს დამაგრებული ისე მყვრად რომ მისი კლემების ურთიერთ დამოკლება გამოირიცხოს.

თუ აკუმულატორის ადგილსამყოფელი იცვლება , მისი დამაგრება უნდა განხორციელდეს საყრდენი ბუდის და ორი საიზოლაციო მასალით დაფარული მეტალის ლარტყის საშუალებით სისქით არა ნაკლებ 0.8 მმ და სიგანით 20 მმ.ისინი მიმაგრებული უნდა იქნას მანქანის ფსკერთან ჭანჭიკებით და ქანჩებით. ამ სამაგრებისთვის უნდა გამოყენებულ იქნას ჭანჭიკები დიამეტრით არა ნაკლები 10 მმ და გამამლიერებელი ფირფიტებით ,ყველა ქანჩის ქვეშ,სისქით 3 მმ.ფირფიტების ფართობი უნდა იყოს არა ნაკლები 20სმ2 და უნდა იყოს განლაგებული ძარის გარე , საპირისპირო მხრიდან .

აკუმულატორი რომელის შევსებულია თხევადი ელექტროლიტით უნდა დაფარული იყოს ჰერმეტიკული ხუფით რომელიც დამაგრებულია დამოკიდებლად ბატარეის სამაგრისგან.

აკუმულატორის განთავსება ავტომობილში თავისუფალია გარდა სალონში გადატანისა . ამ შემთხვევაში ის უნდა მოთავსდეს წინა სავარძლების უკან. ასეთი განლაგების დროს თხევადი ელექტროლიტით გავსებული აკუმულატორის ხუფი უნდა იყოს არჭურვილი სავენტილაციო და სადრენაჟო მილაკებით რომლებიც თავდება ძარის გარეთ.

თუ აკუმულატორი ე.წ. მშრალი ტიპისაა და განთავსებულია სალონში ის უნდა იყოს მთლიანად იზოლირებული დიელექტრიკული ხუფით.

3 ტექნიკური მოთხოვნები

3.2 საბურავი

3.2.1. ყველა სარბოლო კლასში დასაშვებია როგორც სამოქალაქო ისე სარბოლო საბურავები, სლიკები, ნახევრად სლიკები.

3.2.2. ქარხნული საბურავების შეცვლა დასაშვებია სამოქალაქო ან სპორტული საბურავებით, რომლებიც ზომით არ ჩამოუვარდება ავტომობილის კონკრეტული მოდელისთვის განკუთვნილ ქარხნულ მონაცემებს და აკმაყოფილებს შეჯიბრზე განსავითარებელი სავარაუდო მაქსიმალური სიჩქარის მოთხოვნებს მისი ქარხნული სპეციფიკაციის, ცვეთის, ან სტრუქტურული მდგომარეობის გათვალისწინებით;

3.2.2. კონკრეტული კლასისთვის შესაძლებელია იყოს დამატებითი რეგულაცია საბურავთან დაკავშირებით, რომელიც გამოიცემა უშუალოდ ორგანიზატორის მიერ.

3.3 მაყუჩი და აირგამშვები სისტემა

3.3.1 მაყუჩის და აირგამშვები სისტემის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ PRO კლასებში მოასპარეზე ავტომობილებისთვის.

3.3.4. აირგამშვები სისტემის დიამეტრი და მისი დეტალები სტანდარტული კოლექტორის შემდეგ თავისუფალია.

3.4 ავტომობილის ძარა

3.4.1 ავტომობილის ძარას არ უნდა აკლდეს ქარხნული შემადგენელი ნაწილები. შესაძლებელია პლასტმასის დეკორატიული ნაწილების მოხსნა.

3.4.2 ავტომობილის ძარის ყველა აგრეგატი უნდა ასრულებდეს ქარხნულ დანიშნულებას. (ყველა კარი, ძრავის განყოფილების ხუფი და საბარგულის ხუფი უნდა იღებოდეს და იკეტებოდეს სხვა დამხმარე ხელსაწყოების გამოყენების გარეშე).

3.4.3 PRO კლასის ავტომობილს უნდა გააჩნდეს საბუქსირე როგორც წინა ასევე უკანა მხარეს, რომელიც იოლად შესამჩნევი იქნება შეჯიბრის პერსონალისთვის. საბუქსირე არ უნდა სცდებოდეს ძარის გარე კონტურს, შეფერილი უნდა იყოს მკვეთრად გარჩევადი კონტრასტული ფერით (ფორთოხლისფერი, ყვითელი, ფოსფორისფერი და ა.შ.). აღნიშნული უნდა იყოს ძარაზე მიმანიშნებელი ისრით, რომელიც იქნება ძარის ფერისგან განსხვავებული მკვეთრად გარჩევადი ფერის. საბუქსურე შესაძლებელია იყოს ღვედის სახის.⁶

3.4.4. სავალდებულოა შეჯიბრებაში მონაწილე ძარიან ავტომობილზე გამართულად მუშაობდეს: ფარები, მოხვევის მაჩვენებლები, მუხრუჭის სანათები და საქარე მინის საწმენდი. PRO კლასში დასაშვებია მხოლოდ ერთი წინა ფარის მოხსნა.

⁶ რეგულაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

3.4.5. სამოყვარულო და პროფესიონალურ კლასებში იკრძალება ქარხნულად დამონტაჟებული დეტალების და აგრეგატების გადაადგილება ისეთი ფორმით, რომელიც საფრთხეს უქმნის მრბოლელების, მარშალების, სხვა პერსონალის და მაცურებლების უსაფრთხოებას;

3.4.6. ავტომობილის დეტალების ნებისმიერი გადაადგილება მისი ქარხნული მიმაგრების წერტილებიდან ინსპექტირებული და ნებადართული უნდა იყოს რბოლის ტექნიკური კომისიის მიერ.


3.4.7. სამოყვარულო კლასებში ავტომობილის ძარის გარე პანელების შეცვლა დასაშვებია ისეთი არაქარხნული, სხვა მასალისგან წარმოებული პანელებით, რომლებსაც აქვთ ქარხნულის ანალოგიური, ან მსგავსი ფორმა.

3.5 ბალასტი

3.6.1 ბალასტის (დამატებითი წონის) დამატების შემთხვევაში ის უნდა განთავსდეს სალონში, გამოსაჩენ ადგილას.

3.6.2 ბალასტი აუცილებლად დამაგრებული უნდა იყოს მყარად მანქანის ძირზე. (დან. J. 253.16).⁷

⁷ რეგულაცია ძალაში შედის 2017 წლის სექტემბრიდან.



მინიმალური ფართობი გამლიერების ფირფიტებსა და იატაკის ზედაპირებს შორის უნდა იყოს არა ნაკლები 40 სმ².

ჭანჭიკების რაოდენობა არა ნაკლები 2 ცალი ყოველ 20 კგ ბალასტის წონაზე და არა ნაკლები 2 ცალი დამატებითი ჭანჭიკი თუ დასამატებელ ბლოკის წონა 10 კგ აღემატება.

ჭანჭიკების განთავსება საჭიროა ბლოკის პერიმეტრის სიახლოვეს ერთმანეთისგან მაქსიმალური დაშორებით.

სასურველია ბალასტი განთავსდეს მარის ვერტიკალურ ელემენტების სიახლოვეს (კარდანის გვირაბი, ჩაკეტილ კონტურიანი ძელი და ა.შ.)

ასევე რეკომენდირებულია გამამლიერებელი ფირფიტების მარის იატაკზე მიდუღება .

3.7. სამუხრუჭე სისტემა

3.7.1 PRO კლასის ავტომობილებში დასაშვებია სამუხრუჭე სისტემის შეცვლა იმგვარი სისტემით, რომელიც არ ჩამოუვარდება ქარხნულ სამუხრუჭე სისტემას.

3.8. ძრავი

3.8.1. ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს ქარხნული, ან ისეთი ძრავით, რომელიც სერიულად იწარმოებოდა კონკრეტული მოდელის ავტომობილისთვის;

3.8.2. ტურბოდაბერვით აღჭურვილი ავტომობილების კომპრესორის ჩანაცვლება დასაშვებია მხოლოდ იგივე მწარმოებლის მიერ წარმოებული მსუბუქი ავტომობილის კომპრესორით;

დამტკიცებულია საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ტექნიკური კომისიის მიერ

